

Hayton, « La fleur des histoires de la terre d'Orient, du prince Hayton », dans  
*Croisades et Pèlerinages. Récits, chroniques et voyages en Terre Sainte XIII<sup>e</sup>-XVI<sup>e</sup>  
siècles, dir. D. Regnier-Bohler, Paris, Editions Robert Lefont, 1997.*

ჰეთუმ იგივე ჰაიტონ<sup>1</sup> კორიკოსელი (დაახ.1230-1308) - სომეხი ისტორიკოსი, „აღმოსავლეთის მიწის ისტორიათა ყვავილის“<sup>2</sup>ავტორი. იგი იყო ოშინ I-ის, კორიკოსის<sup>3</sup> მმართველის ვაჟი და კილიკიის სომხეთის მეფის ჰეთუმ I-ის (1213-1270)<sup>4</sup> ძმისშვილი. ჰაიტონ კორიკოსელის ბიოგრაფიული ცნობებიდან ჩანს, რომ იგი აქტიურად იყო ჩართული იმ პერიოდის კილიკიის სომხეთის პოლიტიკურ და დიპლომატიურ ცხოვრებაში, რომის პაპსა და სხვა ევროპელ დიდებულებთან ჰქონდა მჭიდრო ურთიერთობა. იგი იზიარებდა ევროპელი ჯვაროსნების სურვილს მონღოლებთან ალიანსის შესახებ მუსლიმთაგან წმინდა მიწის გამოხსნის მიზნით. ჰეთუმი საინტერესო ცნობებს გვაწვდის მონღოლებზე, აგრეთვე კილიკიის სომხეთის, ანტიოქიის სამთავროსა და საქართველოს შესახებ.

### *საქართველოს შესახებ*

*Vers l'est, le royaume de Géorgie commence à une grande montagne appelée Elbrouz.  
Diverses nations y vivent et ce pays est appelé Alanie. De là, le royaume de Géorgie s'étend*

---

<sup>1</sup> ჰაიტონი მისი სახელის - ჰეთუმის ლათინიზებული ვერსიაა.

<sup>2</sup> ჰაიტონის ტექსტის სხვადასხვა ხელნაწერის (ფრანგული და ლათინურ ენოვანი) შედარებამ აჩვენა, რომ პირველადი სწორედ ფრანგული ტექსტია, მეოთხე თავის გარდა. შესაძლოა, მეოთხე თავი - ჯვაროსნებზე, პაპის თხოვნით, ჰეთუმმა მოგვიანებით დაამატა, ლათინურად დაიწერა და მხოლოდ შემდეგ ითარგმნა ფრანგულად.

<sup>3</sup> სომხური პორტი, რომელიც მდებარეობს დღევანდელი ანატოლიის სამხრეთ სანაპიროზე, თურქულ პროვინცია მერსინში.

<sup>4</sup> კილიკიის სომხეთის მეფე ჰეთუმ I ანტიოქიის მთავრ ბოემუნდ IV-თან ერთად ალიანს კრავს მონღოლებთან მამლუქების წინააღმდეგ, 1254 წელს იგი ყარაყორუმში პირადად ეახლა მუნქე ყაენს და დახმარება სთხოვა მამლუქებთან ბრძოლაში.

*vers l'ouest et le nord jusqu'à une des provinces de la Turquie. En longueur, la Géorgie s'étend sur les rives de la mer Majeure. Vers le sud, elle est voisine de la grande Arménie<sup>5</sup>.*

ეს სამეფო იწყება აღმოსავლეთის მხრიდან იმ დიდი მთიდან, რომელსაც ალბრუზი (იალბუზი) ეწოდება. აქ სხვადასხვა ეროვნებები სახლობენ და ამ ქვეყანას ალანია ჰქვია. ამ მთიდან საქართველოს სამეფო დასავლეთისაკენ და ჩრდილოეთისაკენ მიემართება და თურქეთის სამეფოს ერთ-ერთ პროვინციას ესაზღვრება. სიგრძივი მიმართულებით საქართველო დიდ ზღვამდე მიდის, სამხრეთში კი დიდ სომხეთს ემეზობლება.

•

*Ce royaume de Géorgie comprend deux royaumes appelés Géorgie et Abchazie. Celui de Géorgie est sous la souveraineté de l'empereur d'Asie, celui d'Abchazie, puissant par sa population et ses châteaux forts, n'a jamais été soumis à l'empereur d'Asie et ni aux Tartares<sup>6</sup>.*

საქართველოს სამეფო ორ სამეფოდ იყოფა: საქართველოდ და აფხაზეთად. საქართველოს სამეფო აზიის იმპერატორის ქვეშევრდომია, აფხაზეთის სამეფო ძლიერია მოსახლეობის სიმრავლით და ციხე-სიმაგრეებით, ის არასდროს ემორჩილებოდა არც თათრებს და არც აზიის იმპერატორს.

•

*Sur toute l'étendue de cette province, il règne une si grande obscurité que personne ne peut rien voir et personne n'a la hardiesse de pénétrer dans cette terre, car il ne saurait ensuite revenir sur ses pas. Les habitants de cette terre racontent qu'ils entendent des voix d'hommes, des chants de coqs, des hennissements de chevaux et, aux abords d'un fleuve qui sort de la province, on aperçoit des signes prouvant que des hommes y demeurent véritablement<sup>7</sup>.*

---

<sup>5</sup> გვ. 815.

<sup>6</sup> გვ. 815.

<sup>7</sup> გვ. 815.

ამ პროვინციაში (ჰამსენი) ბატონობს ისეთი დიდი წყვდიადი, რომ ვერავის შეუძლია რაიმეს გარჩევა და არავის ჰყოფნის გამბედაობა შეაღწიოს ამ მიწაზე, რადგან უკან ვეღარ გამოაღწევს. ამ მიწის მცხოვრებლები ყვებიან, რომ ესმით ადამიანთა გმინვა, მამლების ყივილი, ცხენების ჭიხვინი და ერთი მდინარის დინების მიხედვით, რომელიც ამ პროვინციაზე გადის, შესამჩნევია იმის ნიშნები, რომ აქ ხალხი მართლაც ცხოვრობს.

•

*« [ ...] Il ordonna un jour à tous les habitants d'Asie de venir sacrifier aux idoles ; tous ceux qui ne viendraient pas devraient être brûlés. Certains chrétiens fidèles subirent le martyre avant même d'avoir voulu sacrifier aux idoles ; d'autres sacrifièrent par peur de la mort et de la perte de leurs biens ; d'autres s'enfuirent dans les montagnes. De bons chrétiens habitaient alors dans une région appelée Moghan ; ils abandonnèrent tous leurs biens et voulaient fuir en Grèce. L'empereur les rencontra dans cette région de Hampasi et ordonna de couper en morceaux tous les chrétiens. Ceux-ci implorèrent notre Seigneur Jésus-Christ pour qu'il les prenne en pitié. Aussitôt survint cette grande obscurité qui aveugla l'empereur et toute sa suite. Les chrétiens lui échappèrent et demeurèrent dans cette obscurité et y demeureront, selon ce que l'on croit et raconte, jusqu'à la fin des temps<sup>8</sup>.*

ერთ დღეს მან (იმპერატორმა) ბრძანა, აზიის ყველა მცხოვრებს თაყვანი ეცა კერპებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა, ვინც არ დაემორჩილებოდა, უნდა დაეწვათ. ზოგიერთმა ქრისტიანმა მარტვილობა არჩია კერპთაყვანისცემას, სხვებმა სიკვდილისა და ქონების დაკარგვის შიშით თაყვანი სცა კერპებს, დანარჩენებმა მთებში გაქცევით უშველეს თავს. ზოგიერთმა კეთილშობილმა ქრისტიანმა, რომელიც მოლანის ველზე ცხოვრობდა, საბერძნეთში გაქცევა და ქონების დატოვება არჩია. იმპერატორი მათ ჰამპასში ჩაუსაფრდა და ბრძანა ყველა ქრისტიანის ნაკუწებად ქცევა. მათ კი დახმარებისათვის უფალ იესო ქრისტეს მიმართეს ვედრებით. უეცრად დიდი

---

<sup>8</sup> გვ. 815.

წყვედიანი ჩამოწვა, რომელმაც იმპერატორი და მისი მხლებლები დააბრმავა. ქრისტიანებმაც თავს უშველეს და მათ გაექცნენ. მაგრამ ბოროტნი ამ სიბნელეში დარჩნენ და, როგორც ამბობდნენ, ისინი იქ ქვეყნის აღსასრულამდე იქნებიანო.

•

ნაწყვეტი „აღმოსავლეთის მიწის ისტორიათა ყვავილის“ ტექსტიდან, სადაც ავტორი მომავალი ჯვაროსნული ლაშქრობის დაგეგმვასა და პრაქტიკულ საკითხებზე მსჯელობს და რომის პაპს, კლიმენტ V-ს სთხოვს, რომ წერილი მისწეროს ქართველთა მეფეს ისევე, როგორც სომხებს, რამდენადაც ისინი მეზობელი ქრისტიანები არიან:

*Pardonnez-moi, Votre Sainteté, si j'ose dire encore deux choses. La première, que Votre Sainteté veuille bien écrire au roi des Géorgiens, qui sont chrétiens et plus que toute autre nation dévot aux pèlerinages et aux sanctuaires de Terre sainte, afin qu'ils aident les pèlerins à reconquérir la Terre. Je crois fermement que, pour l'honneur de Dieu et le respect envers Votre Sainteté, ils accueilleraient favorablement votre demande, car ce sont des chrétiens dévots, nombreux, puissants et vaillants aux armes et ils sont presque voisins du royaume d'Arménie.<sup>9</sup>*

მომიტყვეთ, თქვენო უწმინდესობავ, თქვენი ნებართვით, კიდევ ორ სიტყვას დავამატებ. ხომ არ ინებებდა თქვენი უწმინდესობა, ქართველთა მეფისთვის მიეწერა, ისინი ქრისტიანები არიან და სხვა ერებთან შედარებით უფრო მოწადინებულნი არიან მომლოცველობისა და წმინდა მიწის დაბრუნებისათვის. ხომ არ სთხოვდით მათ, დახმარება აღმოუჩინონ ჯვაროსნებს. დარწმუნებული ვარ, ისინი მიიღებენ თქვენ შემოთავაზებას, რადგანაც ისინი გულანთებული ქრისტიანები არიან, მრავალრიცხოვანნი, ძლიერნი, მამაცნი ბრძოლაში და ისინი სომხეთის სამეფოს (თითქმის) მეზობლები არიან.

---

<sup>9</sup> გვ. 874.

## *სომხეთის შესახებ*

Il y a trois royaumes en Arménie, mais sous la seigneurie d'un seul souverain. En longueur, l'Arménie commence au royaume de Perse et va vers l'ouest jusqu'à la Turquie. En largeur, elle commence à l'ouest à la grande cité appelle Porte-de-Fer, que le roi Alexandre fit édifier pour enfermer les diverses nations habitant dans l'Asie profonde qu'il ne voulait pas passer en Asie Mineure contra sa volonté. Cette cité est dans un défilé près de la mer Caspiennes et touche à la grande montagne du Caucase<sup>10</sup>. De cette ville, le royaume d'Arménie s'étend en largeur jusqu'au royaume de Médie<sup>11</sup>.

*სომხეთი სამი სამეფოსაგან შედგება, თუმცა ერთ მმართველს ემორჩილება. სიგრძეში სომხეთი იწყება სპარსეთის სამეფოდან და დასავლეთით თურქეთამდეა გადაჭიმული. სიგანეში კი - დასავლეთიდან, დიდი ქალაქიდან, რომელსაც რკინის კარი ჰქვია და რომელიც მეფე ალექსანდრემ ააშენებინა, რათა აზიის გულში მცხოვრები სხვადასხვა ხალხები იქ გამოეკეტა, რომ ისინი ვერ გადმოსულიყვნენ მცირე აზიაში მისი სურვილის საწინააღმდეგოდ. ეს ქალაქი კეტავს ერთ ვიწრობს კასპიის ზღვასა და კავკასიის დიდ მთებს შორის. ამ ქალაქიდან სომხეთის სამეფო გადაჭიმულია სიგანეში მიდიის სამეფომდე.*

*Il y a plusieurs grandes et riches villes en ce royaume, la plus célèbre est Tabriz. Il y a de hautes montagnes et des vastes plaines en ce royaume d'Arménie, des grands fleuves et des lacs d'eau douce ou salée renfermant des poissons en abondance<sup>12</sup>.*

---

<sup>10</sup> საუბარია ქალაქ დერბენდზე თავისილეგენდარულიძლიერი ფორტიფიკაციებით.

<sup>11</sup> გვ. 814.

<sup>12</sup> გვ. 814.

ამ სამეფოში მრავალი დიდი და მდიდარი ქალაქია, ყველაზე ცნობილი თავრიზია. აქ, სომხეთის სამეფოში არის მაღალი მთები და ფართო ველები, გრძელი მდინარეები, მტკნარი და მარილიანი ტბები, რომლებშიც ბევრი თევზი ბინადრობს.

*Les habitants de l'Arménie sont appelés de noms divers, selon la région qu'ils habitent. Ce sont de bons guerriers, à cheval ou à pied. Ils chevauchent et s'habillent comme les Tartares, car ils ont longtemps été sous leur domination. Ils utilisent l'alphabet arménien ou celui des Alains<sup>13</sup>.*

სომხეთის მხცოვრებნი სხვადასხვა სახელებით მოიხსენებიან იმის მიხედვით, თუ რომელ რეგიონში ცხოვრობენ. ისინი კარგი მეომრები არიან როგორც ცხენოსნები, ისე ქვეითები. ცხენზე ჯირითით, ჩაცმულობით თათრებს წააგავენ, რადგან ისინი დიდი ხანია მათი ბატონობის ქვეშ არიან. ისინი სომხურ ან ალანურ ალფავიტს იყენებენ.

*Il y a en Arménie la plus haute montagne, appelée Ararat, sur laquelle l'Arche de Noé reposa après le Déluge. Personne ne peut gravir cette montagne en raison de la neige que l'on y trouve en abondance, hiver comme l'été, mais, tout en haute, au sommet, on voit une grande chose noire qui, dit-on, est l'Arche de Noé<sup>14</sup>.*

სომხეთში ასევე მდებარეობს ყველაზე მაღალი მთა, რომელსაც არარატი ჰქვია და რომელზეც წარღვნის შემდეგ ნოეს კიდობანი დაეშვა. არავის შეუძლია ამ მთაზე ასვლა, რადგან ძალიან თოვლიანია როგორც ზამთარში, ისე ზაფხულში, მის მწვერვალზე მოჩანს შავი რაღაც, ამბობენ, ნოეს კიდობანიაო.

*თარგმანა მანანა ჯავახიშვილმა*

***ქვეყნდება პირველად***

---

<sup>13</sup> გვ. 814.

<sup>14</sup> გვ. 814.

# CROISADES ET PÈLERINAGES

RÉCITS, CHRONIQUES ET VOYAGES  
EN TERRE SAÏNTE  
XII<sup>e</sup>-XVII<sup>e</sup> SIÈCLE

